საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს
სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოს" უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

სსიპ გარემოს ეროვნულ
სააგენტო
"08" 05 2023
№ 4066

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2023 წლის 3 აპრილის წერილის (N 21/2312) პასუხად და საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლის შესაბამისად, განსახილველად გიგზავნით მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნავდარაანთკარში მდებარე 72.04.18.491 და 72.04.41.175 საკადასტრო ერთეულებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის, საკანალიზაციო სისტემის და ჩამდინარე საკანალიზაციო წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების სკრინინგის ანგარიშს

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე თანდართული „გარემოზე ზემოქმედების შეფასების სკრინინგის ანგარიში" და გვაცნობოთ თქვენი გადაწყვეტილება გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჭიროების/არსაჭიროების თაობაზე.

წერილს თან ერთვის:

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების სკრინინგის ანგარიშის ბეჭდური და ელექტრონული ვერსიები;
- მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილი მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნავდარაანთკარში არსებულ ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ (ბეჭდური და ელექტრონული ვერსიები);
- მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნავდარაანთკარში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ და სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოს საექსპერტო დასკვნა „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნავდარაანთკარში მდებარე საკადასტრო ერთეულებზე (ს/კ: 72.04.18.491; ს/კ: 72.04.41.175) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების

კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია"-ზე (ბეჭდური და ელექტრონული ვერსიები);

- საპროექტო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის საპასპორტო მონაცემები (იხილეთ გარემოზე ზემოქმედების სკრინინგის ანგარიშის დანართი 10);
- გეგმარებითი ერთეულის განაშენიანების დეტალური გეგმის ელექტრონული ვერსია;
- მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდით: 72.04.18.491) განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (ბეჭდური და ელექტრონული ვერსიები);
- ხარვეზის წერილის შესაბამისად მომზადებული შენიშვნების ცხრილის ბეჭდური და ელექტრონული ვერსიები;
- ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის და გამწმენდი ნაგებობის მოსაწყობად შერჩეული ტერიტორიის შეიპ (.shp) ფაილების ელექტრონული ვერსია.

პატივისცემით,

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდით 72.04.18.491 მესაკუთრე შპს „ბ და ბ"-ს (ს/ნ 404512951) დირექტორი დავით ბერიშვილი (პ/ნ 01018003285)

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდით 72.04.41.175 მესაკუთრე ფიზიკური პირი დავით ბერიშვილი (პ/ნ 01018003285)

08.05.2023